

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ახალგაზრდობის სააგენტო

პროგრამა -
ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

ქვეპროგრამა -
ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობა

შესავალი	3
ახალგაზრდული სფეროს განვითარება	3
პროგრამის მიზნები	4
საბოლოო მიზანი.....	4
სპეციფიური მიზნები	4
თემატური მიმართულებები.....	5
I თემატური მიმართულება: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	5
საგრანტო კონკურსის თემატიკის ზოგადი დაშვება:.....	5
დაფინანსების ოდენობა.....	6
პროექტის ხანგრძლივობა.....	7
მონაწილეობის პირობები	7
საგრანტო განაცხადის პირობა:	7
II თემატური მიმართულება: ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება.....	8
განხორციელებული პროექტების მოსალოდნელი შედეგია:	9
დაფინანსების ოდენობა.....	11
პროექტის ხანგრძლივობა.....	11
საგრანტო პროექტის განხორციელების ვადა:.....	11
მონაწილეობის პირობები	12
საგრანტო განაცხადის პირობა:	12
I – II თემატური მიმართულებების ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები	13
I თემატური მიმართულების მიხედვით საგრანტო პროექტის შეფასების ძირითადი დაშვება:	14
საგრანტო კონკურსის ზოგადი ინფორმაცია:	14

შესავალი

ორგანიზაციის ხედვა

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ ყველა სემენტის ახალგაზრდობისთვის შესაძლებლობების შემქმნელი პლატფორმაა, რომელიც საკუთარი საქმიანობით ხელს უწყობს ახალგაზრდების (14-29 წლის პირები), მათ შორის სხვადასხვა ჯგუფის ახალგაზრდების, სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოსა და ეკოსისტემის შექმნას, ახალგაზრდული პოლიტიკით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებით ცნობიერების ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ღირსეული დასაქმების შესაძლებლობის ხელშეწყობას, კომპეტენციების ზრდას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩართვას ადგილობრივ დონეზე.



ახალგაზრდული სფეროს განვითარება

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა აღიარებს, რომ ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

არსებული რეალობიდან და თანამედროვე მიდგომებიდან გამომდინარე ახალგაზრდები მრავალ გამოწვევასა და სირთულეებს ხვდებიან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. შესაბამისად საჭირო ცოდნა და უნარები, რომლებიც ახალგაზრდებს სჭირდებათ ღირსეული და წარმატებული ცხოვრებისთვის, გახდა უფრო კომპლექსური, უფრო მეტს მოითხოვს ახალგაზრდებისაგან, ვიდრე გარკვეული ვიწრო პროფესიის ფლობაა.

„ახალგაზრდული საქმიანობა“ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდა პიროვნებების ჩამოყალიბებას; ახალგაზრდების, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლიანი და შემოქმედებითი მიდგომა გამოწვევების დაძლევის პროცესში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდული საქმიანობა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს, განუვითარდეთ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისთვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისთვის.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი¹ ახალგაზრდების ასაკი 14-29 წლით არის განსაზღვრული.

პროგრამის მიზნები

საბოლოო მიზანი

საგრანტო კონკურსის საბოლოო მიზანია წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში, რათა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

სპეციფიური მიზნები

საგრანტო კონკურსის უშუალო/სპეციფიური მიზნებია:

1. ხელი შეუწყოს ახალგაზრდების კომპეტენციების გაუმჯობესებას, რომელიც განაპირობებს მათ კონკურენტუნარიანობას და შემდგომში დასაქმებას;
2. გააძლიეროს ახალგაზრდების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და კომპეტენციები, რაც მათ პიროვნული განვითარების უკეთეს შესაძლებლობებს მისცემს;
3. გაააქტიუროს ახალგაზრდების მონაწილეობა და უშუალო ჩართულობა ადგილობრივ და ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგები

1. შექმნილი, დაფინანსებული და განვითარებული/გამდიერებული ახალგაზრდული ორგანიზაციები;
2. რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. სამიზნე ჯგუფ(ებ)ის, პირდაპირი და ირიბი ბენეფიციარებში განვითარებული კომპეტენციები.

¹ „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0>

„2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>

თემატური მიმართულებები

I თემატური მიმართულება: ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

თემატური მიმართულების ძირითადი მიზანია რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ შექმნილი საინიციატივო ჯგუფების/რეგიონში ახლადშექმნილი ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული, რეგიონის/მუნიციპალიტეტის/თემის ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით წარმოდგენილი საგრანტო პროექტის საგრანტო კონკურსის წესით დაფინანსება. ასევე, რეგიონის/მუნიციპალიტეტის/თემის სოციუმში ახალგაზრდების მიერ ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერება და ინიციატივების მხარდაჭერა, ახალგაზრდებში სოციალური ვალდებულებების, მეწარმეობითი უნარების და ინოვაციური ინიციატივების გაზრდის ხელშეწყობა.

საგრანტო კონკურსის თემატიკის ზოგადი დაშვება:

1. ახალგაზრდების მიერ ინიცირებულ პროექტს რეგიონში/მუნიციპალიტეტში/თემში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების დასაძლევად, რომელსაც დაფინანსების შემთხვევაში განახორციელებენ პროექტის წარმომდგენი რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ შექმნილი საინიციატივო ჯგუფები/რეგიონში ახლადშექმნილი ახალგაზრდული ორგანიზაციები.
2. თემატური მიმართულებისთვის, პროექტის ბენეფიციართა შორის გათვალისწინებულია „სხვადასხვა ჯგუფის ახალგაზრდები“. თემატური მიმართულების მიზნებისთვის, „სხვადასხვა ჯგუფის ახალგაზრდებს“ მიეკუთვნება ან მათ მდგომარეობას განსაზღვრავს ქვემოთ წარმოდგენილი ერთი, რამდენიმე ან ყველა ფაქტორი²:
 - **შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ფაქტორი:** ახალგაზრდები რომელთაც აქვთ განვითარების შეფერხება, გადაადგილების შეზღუდვა, სენსორული (სმენა, მხედველობა) დარღვევები და სხვა;
 - **ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორი:** ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემები, მძიმე დაავადებები ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და სხვა;
 - **სწავლასთან დაკავშირებული ფაქტორი:** ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ან არიან სავალდებულო (დაწყებითი ან საბაზო) განათლების მიღმა, ან იმყოფებიან სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენის რისკის ქვეშ და სხვა;
 - **კულტურული ფაქტორი:** ემიგრანტები, ლტოლვილები ან ემიგრანტი/ლტოლვილი ოჯახების შთამომავლები, მოქალაქეობის არმქონე პირები, თავშესაფრის მაძიებელი პირები და სხვა;

² წარმოდგენილი სია მეტწილად ეფუძნება ევროკავშირის კომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ „ინკლუზიურიობის და მრავალფეროვნების სტრატეგიას“ - Inclusion and Diversity Strategy - <https://www.salto-youth.net/downloads/4-17-3103/InclusionAndDiversityStrategy.pdf>

- **ეკონომიკური ფაქტორი:** ახალგაზრდები ცხოვრების დაბალი დონით, დაბალი შემოსავლით, სოციალური დაცვის სისტემაზე დამოკიდებულებით, გრძელვადიანი უმუშევრობის ან სიღარიბის პირობებში მყოფი ახალგაზრდები, NEET ახალგაზრდები (ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართულნი დასაქმების, განათლების და ტრენინგების პროცესში), უსახლკარო, სასესხო ვალდებულების ან ფინანსური პრობლემების მქონე ახალგაზრდები და სხვა;
 - **სოციალური ფაქტორი:** ახალგაზრდები, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების და სხვა მიზეზების გამო; ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლი ახალგაზრდები; შეზღუდული სოციალური უნარების, ანტისოციალური ან მაღალი რისკის შემცველი ქცევის მქონე ახალგაზრდები; საფრთხის შემცველ გარემოსა და სიტუაციაში მყოფი ახალგაზრდები; (ყოფილი) პატიმრები; ქიმიური და ქცევითი, მათ შორის, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ახალგაზრდები; არასრულწლოვანი ან/და ახალგაზრდა მარტოხელა მშობლები; ობლები; სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდები და სხვა;
 - **გეოგრაფიული ფაქტორი:** მაღალმთიან და რთულად მისასვლელ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდები; შეზღუდული მომსახურების მქონე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები (შეზღუდული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა) და სხვა.
 - **კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდები:** ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები; ახალგაზრდები იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან.
 - საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები;
 - საქართველოში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები.
3. საგრანტო განაცხადის ფარგლებში დაფინანსების მოთხოვნა შესაძლებელია გაიწეროს ნებისმიერი ზემოაღნიშნული საჭიროების შესახებ (გარდა ინფრასტრუქტურული პროექტის, სწავლის დაფინანსების და სხვა), რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების მიერ ახალგაზრდული სფეროს განვითარება/გაძლიერებას.
4. საგრანტო კონკურსის ფარგლებში მიიღება სარეკრეაციო ზონის მოწყობისა და შშმ/სსმ პირთათვის სტანდარტ(ებ)ის³ მიხედვით შესაბამისი გარემოს ადაპტირების დაფინანსების მოთხოვნით წარმოდგენილი საგრანტო პროექტ(ებ)ი.

დაფინანსების ოდენობა

- თემატურ მიმართულებაზე შესაძლო დაფინანსების საერთო ოდენობა – 350 000 ლარი;
- თითოეულ რეგიონზე დაფინანსების შესაძლო საერთო ოდენობა - 35 000 ლარი;
- თანხის მოცულობა, რომლის მოთხოვნაც შესაძლებელია ერთი საგრანტო პროექტის დასაფინანსებლად: მინიმალური თანხა – 5 000 ლარი; მაქსიმალური თანხა - 15 000 ლარი.

³ ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176389?publication=0>

ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5051805?publication=0>

პროექტის ხანგრძლივობა

საგრანტო პროექტის განხორციელების ვადა:

- 2 თვიდან 3 თვის ჩათვლით საგრანტო პროექტის დაფინანსება შესაძლებელია: მინიმუმ 5000 ლარის ოდენობით; მაქსიმუმ 10 000 ლარის ოდენობით;
- 3 თვიდან 4 თვის ჩათვლით საგრანტო პროექტის დაფინანსება შესაძლებელია მაქსიმუმ 15 000 ლარის ოდენობით.
- საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტის ხელფასების საერთო ოდენობა (პროექტის ხელმძღვანელის, თანაშემწის, ბუღალტრის და ა.შ.) არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოდან მოთხოვნილი თანხის 15%-ს.

მონაწილეობის პირობები

საგრანტო პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს:

1. რეგიონში მცხოვრები ფიზიკურ პირს (როგორც საინიციატივო ჯგუფი), რომელიც აერთიანებს საინიციატივო ჯგუფში რეგიონის 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდებს საგრანტო პროექტის განსახორციელებლად. საგრანტო პროექტის გამარჯვების შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფი ვალდებულია დააფუძნოს ახალგაზრდული ორგანიზაცია.
2. 2020 წლის იანვრის თვიდან რეგიონში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომელიც წარმოდგენილ საგრანტო პროექტს ახორციელებს რეგისტრაციით გათვალისწინებულ რეგიონში; **ახალგაზრდული ორგანიზაცია** არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

საგრანტო განაცხადის პირობა:

- განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს, განაცხადით გათვალისწინებულ რეგიონში/მუნიციპალიტეტში/თემში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა გულისხმობდეს პროექტით გათვალისწინებული პრობლემატიკის გამოვლენისა და მოგვარებასთან დაკავშირებულ ჩატარებულ კვლევას ან/და მოკვლევას, სამიზნე ჯგუფების ხელმოწერებს, ფოტო-ვიდეო მასალას და სხვა (ელექტრონული აპლიკაციის შესაბამის ველში განმცხადებელმა უნდა ჩასვას ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის ბმული მაგ: *Google Drive, YouTube, მსგავს პრობლემატიკაზე სხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის/მოკვლევის ბმული და სხვა*).

II თემატური მიმართულება: ახალგაზრდული ორგანიზაციების გადლიერება

თემატური მიმართულების ძირითად მიზანს წარმოადგენს გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი ახალგაზრდული მდგრადი სოციალური (რეალური) ან/და ვირტუალური სივრცეების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული საქმიანობის წარმართვას, არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდების კომპეტენციების ზრდას. ხელს შეუწყობს და გააძლიერებს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს, ადგილობრივ ხელისუფლებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას და ურთიერთობას. მხარს დაუჭერს ახალგაზრდულ ინიციატივებს და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას ადგილობრივ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებში.

ახალგაზრდული სოციალური (რეალური) სივრცეების შექმნა, რომელიც გულისხმობს გრძელვადიან და დამოუკიდებლად ფუნქციონირებას. ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს საშუალება ექნებათ შექმნილი სივრცე და ცენტრის მატერიალური რესურსი, დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, გამოიყენონ საჭიროებების მიხედვით საკუთარი ინიციატივების განსახორციელებლად.

კონკურსის მიზნებისათვის სააგენტო ახალგაზრდულ სოციალურ (რეალურ) სივრცედ თვლის ისეთ გარემოს, რომელიც სრულად ეკუთვნის არამომგებიან ორგანიზაციას. საქმიანობიდან შემოსული მოგება ხმარდება მხოლოდ შექმნილი სივრცის განვითარებას (სოციალური სივრცე შექმნილია ახალგაზრდული საქმიანობის განსახორციელებლად ამა თუ იმ მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდების დასაქმების ან/და არაფორმალური განათლების გზით კომპეტენციების გადაცემის მიზნით).

კონკურსის მიზნებისთვის სააგენტო ვირტუალურ ახალგაზრდულ სივრცეში მოიაზრებს ისეთ ონლაინ სივრცეებს, რომლის ფარგლებში შექმნილი აპლიკაციები, საგანმანათლებლო თუ სხვა სახის რესურსები ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდების, ახალგაზრდული მუშაკების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის.

ზოგადი დაშვება: თემატური მიმართულებისთვის, პროექტის ბენეფიციართა შორის გათვალისწინებულია „სხვადასხვა ჯგუფის ახალგაზრდების“ ჩართვა („სხვადასხვა ჯგუფის ახალგაზრდებს“ მიეკუთვნება ან მათ მდგომარეობას განსაზღვრავს ქვემოთ წარმოდგენილი ერთი, რამდენიმე ან ყველა ფაქტორი⁴:

⁴ წარმოდგენილი სია მეტწილად ეფუძნება ევროკავშირის კომისიის განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის მიერ მომზადებულ „ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების სტრატეგიას“ - Inclusion and Diversity Strategy - <https://www.salto-youth.net/downloads/4-17-3103/InclusionAndDiversityStrategy.pdf>

- **შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ფაქტორი:** ახალგაზრდები რომელთაც აქვთ განვითარების შეფერხება, გადაადგილების შეზღუდვა, სენსორული (სმენა, მხედველობა) დარღვევები და სხვა;
- **ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფაქტორი:** ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემები, მძიმე დაავადებები ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და სხვა;
- **სწავლასთან დაკავშირებული ფაქტორი:** ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ან არიან სავალდებულო (დაწყებითი ან საბაზო) განათლების მიღმა, ან იმყოფებიან სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენის რისკის ქვეშ და სხვა;
- **კულტურული ფაქტორი:** ემიგრანტები, ლტოლვილები ან ემიგრანტი/ლტოლვილი ოჯახების შთამომავლები, მოქალაქეობის არმქონე პირები, თავშესაფრის მაძიებელი პირები და სხვა;
- **ეკონომიკური ფაქტორი:** ახალგაზრდები ცხოვრების დაბალი დონით, დაბალი შემოსავლით, სოციალური დაცვის სისტემაზე დამოკიდებულებით, გრძელვადიანი უმუშევრობის ან სიღარიბის პირობებში მყოფი ახალგაზრდები, NEET ახალგაზრდები (ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართულნი დასაქმების, განათლების და ტრენინგების პროცესში), უსახლკარო, სასესხო ვალდებულების ან ფინანსური პრობლემების მქონე ახალგაზრდები და სხვა;
- **სოციალური ფაქტორი:** ახალგაზრდები, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების და სხვა მიზეზების გამო; ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლი ახალგაზრდები; შეზღუდული სოციალური უნარების, ანტი-სოციალური ან მაღალი რისკის შემცველი ქცევის მქონე ახალგაზრდები; საფრთხის შემცველ გარემოსა და სიტუაციაში მყოფი ახალგაზრდები; (ყოფილი) პატიმრები; ქიმიური და ქცევითი, მათ შორის, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ახალგაზრდები; არასრულწლოვანი ან/და ახალგაზრდა მარტოხელა მშობლები; ობლები; სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდები და სხვა;
- **გეოგრაფიული ფაქტორი:** მაღალმთიან და რთულად მისასვლელ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდები; შეზღუდული მომსახურების მქონე ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები (შეზღუდული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა) და სხვა.
- **კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდები:** ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები; ახალგაზრდები იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებიდან.
- საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები;
- საქართველოში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები).

განხორციელებული პროექტების მოსალოდნელი შედეგია:

1.1) არაფორმალური განათლებით განვითარებული კომპეტენციები:

1.1.1 უზრუნველყოს სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებზე ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით;

1.1.2 ხელი შეუწყოს არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გაძლიერების მიზნით.

1.1.3 ხელი შეუწყოს ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერებას, ახალგაზრდული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ განვითარებას და მათ მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას;

1.1.4 ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ინფორმირებას საერთაშორისო ახალგაზრდული პროგრამების შესახებ;

1.1.5 წახალისოს ისეთი სასწავლო პროგრამების განხორციელება, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში;

1.1.6 ხელი შეუწყოს ისეთი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ინსტიტუციონალურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

1.1.7 უზრუნველყოს ახალგაზრდების ჩართვის შესაძლებლობა, როგორც მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, ასევე მათი აღსრულებისა და შეფასების პროცესში;

1.1.8 დაეხმაროს ახალგაზრდებს პროექტების მართვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებაში;

1.1.9 ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში ციფრული კომპეტენციების განვითარებას (<https://goo.gl/39oo2N>)

1.2) მდგრადი ახალგაზრდული სოციალური სივრცის შექმნა ან არსებულის მდგრადი განვითარება;

1.3) მომზადებული/გადამზადებული მწვრთნელები და მენტორები პროფესიული უნარების განვითარებისათვის;

1.4) განვითარებული ორგანიზაციული უნარები (სტრატეგიული დაგეგმვის უნარი, ქსელური კავშირები და ა.შ.);

1.5) მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდებისათვის საჭირო სხვა სოციალური სერვისები სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის გასაიოლებლად (მაგალითად: პროფესიული ორიენტაცია, ფსიქოლოგის დახმარება და ა.შ.);

1.6) გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციები, განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის პოლიტიკის განსაზღვრაში წვლილის შესატანად;

1.7) გამოცდილებაზე დაყრდნობით მიღებული რეკომენდაციები შშმ და სსსმ პირებისთვის სკოლის დონეზე პერსონალური ასისტენტის პროფესიული სტანდარტის და სასწავლო პროგრამის შემუშავებაში წვლილის შესატანად;

1.8) მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდების დასაქმების მიზნით შექმნილი სამუშაო ადგილები ახალგაზრდულ სოციალურ (რეალურ) ან/და ვირტუალურ სივრცეში;

1.9) სამუშაო ადგილზე წვრთნის პროგრამები პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

აქტივობების შესაძლო სახეები *(ეს სია არ ზღუდავს მიზნებით გამართლებულ სხვა შესაძლო აქტივობებს):*

- ცოდნისა და უნარების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები: ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, სასწავლო ვიზიტები და ა.შ.;
- ახალგაზრდული სოციალური (რეალური) ან/და ვირტუალური სივრცის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რესურსის შექმნა;
- ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები (სოციალური რეკლამა მასმედიაში, საგანმანათლებლო ნაბეჭდი და ვიდეო მასალის გავრცელება და ა.შ.);
- უფლებადაცვითი და სამოქმედო პოლიტიკის ცვლილებაზე მიმართული ღონისძიებები (სამოქმედო პოლიტიკით განსაზღვრულ რეკომენდაციებზე გამიზნული კვლევები, საკანონმდებლო ინიციატივები და ა.შ.);
- ქსელურ მუშაობაზე და ორგანიზაციების ინსტიტუციონალიზაციაზე მიმართული ღონისძიებები (კონფერენციები, შეხვედრები, სოციალური ქსელების განვითარება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ა.შ.);

დაფინანსების ოდენობა

- თემატურ მიმართულებაზე შესაძლო დაფინანსების საერთო ოდენობა: 500 000 ლარი;
- თითოეულ რეგიონზე დაფინანსების შესაძლო საერთო ოდენობა - 50 000 ლარი;
- თანხის მოცულობა, რომლის მოთხოვნაც შესაძლებელია ერთი საგრანტო პროექტის დასაფინანსებლად: მინიმალური თანხა - 15 000 ლარი;
მაქსიმალური თანხა - 50 000 ლარი;

წარმოდგენილი საგრანტო პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პირველი ეტაპის დაფინანსების ოდენობა არ უნდა აღმატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 60%-ს.

პროექტის ხანგრძლივობა

საგრანტო პროექტის ვადა არ უნდა აღმატებოდეს 10 თვეს.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ, საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისად შექმნილი ახალგაზრდული სოციალური (რეალური) ან/და ვირტუალური სივრცე უნდა განაგრძობდეს ფუნქციონირებას, მდგრადი და განმეორებადი შედეგების უზრუნველყოფის გათვალისწინებით გრძელვადიან პერსპექტივაში.

საგრანტო პროექტის განხორციელების ვადა:

- 5 თვიდან - 7 თვის ჩათვლით წარმოდგენილი საგრანტო პროექტის დაფინანსების მოთხოვნა შესაძლებელია მინიმუმ - 15 000 ლარიდან მაქსიმუმ 25 000 ლარამდე ფარგლებში;
- ხელფასების საერთო ოდენობა (პროექტის ხელმძღვანელის, თანაშემწის, ბუღალტრის და ა.შ.) არ უნდა აღმატებოდეს სააგენტოდან მოთხოვნილი თანხის 15 %-ს.
- 8 თვიდან - 10 თვის ჩათვლით წამორდგენილი საგრანტო პროექტის დაფინანსების მოთხოვნა შესაძლებელია მინიმუმ 25 000 ლარიდან მაქსიმუმ 50 000 ლარის ფარგლებში;
- ხელფასების საერთო ოდენობა (პროექტის ხელმძღვანელის, თანაშემწის, ბუღალტრის და ა.შ.) არ უნდა აღმატებოდეს სააგენტოდან მოთხოვნილი თანხის 30 %-ს.

მონაწილეობის პირობები

საგრანტო პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს:

- რეგიონში რეგისტრირებულ ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომელიც წარმოდგენილ საგრანტო პროექტს ახორციელებს რეგისტრაციით გათვალისწინებულ რეგიონში; **ახალგაზრდული ორგანიზაცია** არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

საგრანტო განაცხადის პირობა:

- განმცხადებელი ორგანიზაცია ვალდებულია წარმოადგინოს, განაცხადით გათვალისწინებულ რეგიონში/მუნიციპალიტეტში/თემში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა გულისხმობდეს პროექტით გათვალისწინებული პრობლემატიკის გამოვლენისა და მოგვარებასთან დაკავშირებულ ჩატარებულ კვლევას ან/და მოკვლევას, სამიზნე ჯგუფების ხელმოწერებს, ფოტო-ვიდეო მასალას და სხვა (ელექტრონული აპლიკაციის შესაბამის ველში განმცხადებელმა უნდა ჩასვას ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის ბმული მაგ: *Google Drive, YouTube, მსგავს პრობლემატიკაზე სხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის/მოკვლევის ბმული და სხვა*).

I – II თემატური მიმართულებების ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
<p>1. პროექტის შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და თემატურ მიმართულებასთან</p> <p>1.1 რამდენად შეესაბამება პროექტი კონკურსის მოთხოვნილ მიზნებსა და თემატურ მიმართულებას?</p> <p>1.2 რამდენად შესაბამისობაშია განაცხადის მიზანსა და ამოცანებს შორის ლოგიკური კავშირი?</p> <p>1.3 რამდენად ეფუძნება განაცხადი საჭიროებების ანალიზს და რამდენად მორგებულია ახალგაზრდების საჭიროებებზე?</p> <p>1.4 რამდენად მოიაზრებს განაცხადი ახალგაზრდების ძირითადი კომპეტენციებით აღჭურვას?</p>	30
<p>2. ეფექტურობა, განხორციელებადობა და შესრულების ხარისხი</p> <p>2.1 შემოთავაზებული აქტივობები რამდენად შესაბამისი, პრაქტიკული და თანმიმდევრულია მიზნების, საჭიროებებისა და მოსალოდნელი შედეგების მიმართ?</p> <p>2.2 რამდენად ცხადი და სრულყოფილია სამუშაო პროგრამა, მომზადების შესაბამისი ფაზები და განხორციელება?</p> <p>2.3 რამდენად სტრატეგიულად არის შერჩეული პროექტის მონაწილეები?</p> <p>2.4 რამდენად ითვალისწინებს განაცხადი სხვადასხვა ჯგუფის ახალგაზრდების ჩართულობას?</p> <p>2.5 რამდენად ხარჯთეფექტური და რეალისტურია პროექტის ბიუჯეტი?</p> <p>2.6 რამდენად შეესაბამება განაცხადის ბიუჯეტი პროექტის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, პროექტის სამოქმედო გეგმას და რამდენად მართებულია აქტივობებისთვის მოთხოვნილი რესურსი?</p> <p>2.7 პროექტით დაგეგმილი აქტივობების სამოქმედო გეგმა რამდენად ნათელი და ეფექტურად განხორციელებადია?</p> <p>2.8 რამდენად არის გათვლილი რისკები და მათი გადაჭრის გზები?</p>	40
<p>3. პროექტის გავლენა და მდგრადობა</p> <p>3.1 პროექტის განხორციელება რამდენად ახდენს გავლენას პროექტის შემსრულებელ ახალგაზრდებზე/ახალგაზრდულ ორგანიზაციაზე? რამდენად ახდენს გავლენას რეგიონის/მუნიციპალიტეტის/თემის დონეზე?</p> <p>3.2 რამდენად მდგრადია პროექტის მოსალოდნელი შედეგები?</p> <p>3.3 რამდენად შეიცავს პროექტი დაგეგმილი შედეგების ობიექტურად შემოწმებად/გაზომვად ინდიკატორებს?</p> <p>3.4 რამდენად ნათლად და რეალისტურადაა გაწერილი განმცხადებლის მიერ გრანტის ამოწურვის შემდეგ მიღწეული შედეგების ზეგავლენის გავრცელება?</p> <p>3.5 რამდენად ეფექტური, განმეორებადი და გრძელვადიანია პროექტი დასრულების შემდეგ?</p> <p>3.6 რამდენად შეძლებენ სრულფასოვან ფუნქციონირებას პროექტის დასრულების შემდეგ?</p>	30
<p>კრიტერიუმების შეფასების ჯამური ქულა</p>	100

კრიტერიუმების მიხედვით მინიჭებული ქულათა ზღვარი და განმარტება

მაქსიმალური ქულა	ქულათა ზღვარი			
	მალიან კარგი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	სუსტი
40	34-40	28-33	20-27	0-19
30	26-30	21-25	15-20	0-14

მალიან კარგი: განაცხადი დამაჯერებლად და ამომწურავად პასუხობს კრიტერიუმის ყველა შესაბამის ასპექტს. მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას და მტკიცებულებას, არ გააჩნია სუსტი და პრობლემური მხარე.

კარგი: განაცხადი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, თუმცა შესაძლებელია მცირედი გაუმჯობესება. მასში მოცემულია მკაფიო ინფორმაცია თითქმის ყველა საჭირო მტკიცებულების შესახებ.

დამაკმაყოფილებელი: განაცხადი ზედაპირულად პასუხობს კრიტერიუმს. ნაწილობრივ იძლევა შესაბამის ინფორმაციას, დეტალები მოკლებულია კონკრეტიკას და ინფორმაცია ბუნდოვანია.

სუსტი: განაცხადი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს. მოიცავს მხოლოდ მცირე დოზით საჭირო ინფორმაციას, ძირითადი ასპექტები დაუზუსტებელია.

I თემატური მიმართულებების მიხედვით საგრანტო პროექტის შეფასების ძირითადი დაშვება:

1. “3. პროექტის გავლენა და მდგრადობა“ – წარმოდგენილი პროექტი მკაცრად არ განიხილება/ფასდება.

საგრანტო კონკურსის ზოგადი ინფორმაცია:

1. სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ახალგაზრდულ ორგანიზაციებზე გასაცემი გრანტის საერთო მოცულობა განისაზღვრება 850 000 ლარით.
2. საგრანტო პროექტის წარმოსადგენად განმცხადებელი უნდა დარეგისტრირდეს ვებ-გვერდზე fund.youthagency.gov.ge შეავსოს ელექტრონული აპლიკაცია და გამოაგზავნოს შევსებული განაცხადი 2021 წლის 1 მარტიდან 1 აპრილის 18:00 საათამდე.
3. სასურველია განმცხადებელმა წარმოდგენილ განაცხადში, საგრანტო პროექტის დაწყების ვადად განსაზღვროს 2021 წლის 16 აგვისტო.
4. საგრანტო პროექტი შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.
5. წარმოდგენილი საგრანტო პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საგრანტო კონკურსის თემატურ მიმართულებას.
6. განმცხადებელს უფლება აქვს საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადი.
7. საგრანტო კონკურსის ეტაპები:
 - ა) კონკურსის გამოცხადება;
 - ბ) საგრანტო პროექტის წარდგენა;

- გ) საგრანტო პროექტის დასაშვებობის შემოწმება;
- დ) საგრანტო პროექტების შეფასება ქულათა სისტემით საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;
- ე) დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტების მონაცემების შეფასების კომისიის მიერ შეჯამება/გაერთიანება;
- ვ) საგრანტო კომისიის მიერ ქულათა სისტემით დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტების შესახებ მონაცემების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
- ზ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

8. პროექტების განხილვის პროცედურა

1. საგრანტო კონკურსის ფარგლებში მიღებული განაცხადების შერჩევას და დასაშვებობის შემოწმებას ახორციელებს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

2. შეფასების კომისიის მიერ შერჩეული საგრანტო პროექტების განხილვა/შეფასება ქულათა სისტემით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

3. შეფასების კომისიის მიერ დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტების საგრანტო კომისიისთვის გადაცემა გამარჯვებულის გამოსავლენად.

3.1 საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა.

3.2 პროექტი ითვლება დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებულად, თუ საგრანტო პროექტის ქულათა სისტემით შეფასების ეტაპზე დააგროვებს არანაკლებ 75 ქულას.

4. შეფასების კომისიის მიერ დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტების შესახებ მონაცემების განხილვას და გამარჯვებულის გამოვლენას ახორციელებს საგრანტო კომისია.

5. საგრანტო პროექტების შერჩევის პროცედურა უნდა დასრულდეს და გამარჯვებული გამოვლინდეს საგრანტო პროექტების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) დღის ვადაში.

9. დაფინანსების შემთხვევაში, გრანტის მიმღებს არ შეუძლია გასცეს ქვეგრანტი.